საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №210/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 09 აგვისტოს № -- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 07 დეკემბრის №-- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. საჩივარში მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე -- -- დაცვის მხარეს არ მიეცა თავისი მოსაზრების გამოთქმის საშუალება, საქართველოს სსსკ 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტის პროცესში. ამასთან, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად, -- -- დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს წარუდგინა სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერი.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის მიერ საქმეზე წარმოდგენილი სასამართლოს სხდომის აუდიო ჩანაწერის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ 2018 წლის 18 ივლისს -- -- სასამართლოში მოწმის სახით დაიკითხნენ -- -- და -- --, სს საქმეზე № -- -- -- მიმართ. ამდენად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა -- -- სასამართლოში.

3. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

განსახილველ შემთხვევაში, -- -- 2018 წლის 09 აგვისტოს №-- საჩივრის შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ საქმე რომელთან დაკავშირებითაც საჩივრის ავტორი მიუთითებდა მოსამართლე -- -- მხრიდან საპროცესო ნორმების დარღვევაზე, მოსამართლე -- -- წარმოებაში საერთოდ არ იმყოფებოდა. საჩივრის ავტორის მითითებულ საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობდა -- -- სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 თებერვლის №-- გადაწყვეტილებით, 2016 წლის --დან -- -- მოსამართლედ განწესებული იყო -- -- სასამართლოში, 03 (სამი) წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის -- №-- გადაწყვეტილებით, -- -- მოსამართლედ განწესდა -- -- სასამართლოში, უვადოდ.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

ამავე ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის არსებობა. 2020 წლის 09 სექტემბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^8 მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე № -- მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი